ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა

ქალაქ თბილისი, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ. თბილისი 29.05.2015 წ.

გიორგი კოპალეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

არჩილ ჩარგეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიმართულებით საკითხთა დარგში, საკონკურსო კომისიის წევრი.

დავით ხერხეულიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო და ბიუჯეტირების განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

მერი დევდარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო და ბიუჯეტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

თამარ გეგია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის აპარატის თანაშემწე, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიზნით კონკურსის გამოსაცხადებლად - საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის წევრის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილის არჩილ ჩარგეიშვილის გამოსვლა.

დღის წესრიგი:

საკონკურსო კომისიის წევრმა, არჩილ ჩარგეიშვილმა, სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა საკონკურსო განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე და რომლის გადაგზავნაც უნდა მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელ.ფოსტაზე სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.contest.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის პროექტები.

საკონკურსო კომისია ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნევს კონკურსანტების მიერ შემოტანილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასების ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 მუხლის შესაბამისად სათათბირო ხმის უფლებით კონსულტანტებად და ექსპერტებად მოწვეული იქნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შემდეგი სპეციალისტები:

- *ნიკოლოზ ზაზუნიშვილი* - სანებართვო პირობების განყოფილების უფროსი;
- *ირინე საბაშვილი* - ნებართვების სამსახურის უფროსი;
- *დიანა ბოლოთაშვილი* - ძეგლთა შეფასება - რეაბილიტაციის სამსახურის უფროსი.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით შედგენილი კონკურსისათვის საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი.
2. ეთხოვოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან მოწვეულ სპეციალისტებს საკონკურსო კომისიის მუშაობაში ჩართულობა სათათბირო ხმის უფლებით.
3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელ.ფოსტაზე სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.contest.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე	*/გიორგი კოპალეიშვილი/*
კომისიის წევრი	*/არჩილ ჩარგეიშვილი/*
კომისიის წევრი	*/დავით ხერხეულიძე /*
აპარატის წევრი	*/მერი დევდარიანი/*
აპარატის წევრი	*/თამარ გეგია/*